ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №10

27 აპრილი 2022 წელი

14:00 საათი

ა/წ 27 აპრილს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე (კომისიის თავმჯდომარე);
2. ლევან აბაშიძე;
3. ანა კაკაბაძე;
4. სოფიო ჯაფარიძე;
5. ლილე ლიპარტელიანი;
6. მამუკა გუგეშაშვილი;
7. ვახტან სურგულაძე;

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ნათია ვერძაძე.

სხდომის დღის წესრიგი:

- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის ჯანმრთელი ქალაქების ქსელში ქ. თბილისის გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა

და დამსწრე წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი.

კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ჯანმრთელი ქალაქების ევროპული ქსელის კონცეფციის შესახებ: 2020 წელს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული დირექტორი ჰანს კლუგე. აღნიშნული ვიზიტისას კლუგეს მხრიდან შემოთავაზებულ იქნა ჯანმრთელი ქალაქების ევროპულ ქსელში თბილისის გაწევრიანების საკითხი.

კომისიის წევრი ანა კაკაბაძე დაინტერესედა რა ვალდებულებები და ბენეფიტები მოყვება ზემოთაღნიშნულ ქსელში ჩართვას?

კომისიის წევრმა ვახტანგ სურგულაძემ იკითხა რა თანხებთან იქნება დაკავშირებული ქსელში გაწევრიანება?

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნათია ვერძაძემ ამომწურავად ისაუბრა ჯანმრთელი ქალაქების ევროპული ქსელში გაწევრიენებასთან დაკავშირებით, კერძოდ ქსელის მუშაობის სტრატეგიული მიზნებია:

ქალაქების სოციალურ და პოლიტიკურ დღის წესრიგში ჯანმრთელობის მაღალ დონეზე აყვანის მიზნით დასახული ქმედებების ხელშეწყობა;

ადგილობრივ დონეზე ჯანმრთელობისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის და მოქმედების დანერგვა, რომელიც ხაზს უსვამს ჯანმრთელობის თანასწორობის განმსაზღვრელ და ევროპული პოლიტიკის პრინციპებს;

ინტერსექტორულ და მონაწილეობაზე დაფუძნებული მმართველობის ხელშეწყობა ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და თანასწორობის საკითხებში;

პოლიტიკისა და პრაქტიკული გამოცდილების, ჯეროვანი მტკიცებულებების, ცოდნისა და მეთოდების გენერირება ჯანმო-ს ევროპული რეგიონის ყველა ქალაქში ჯანმრთელობის ხელშესაწყობად;

სოლიდარობის, თანამშრომლობის ხელშეწყობა ევროპულ ქალაქებსა და ადგილობრივი ხელისუფლების ქსელებს შორის და სააგენტოებთან, რომლებიც დაკავშირებულია ურბანულ საკითხებთან;

ქსელის ხელმისაწვდომობის გაზრდა ევროპის ყველა წევრ სახელმწიფოში.

ქსელში გაწევრიანებისთვის პირველ ეტაპზე განხორციელდა სიტუაციური ანალიზი და შეიქმენა სამუშაო ჯგუფი რომელიც მუშაობს სააპლიკაციო ფორმაზე და რომელსაც შემდგომში წარვადგენთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში.

ქსელში ჩართვასთან დაკავშირებით არ არის წინასწარგაწერილი ვალდებულებები რომელიც მოითხოვს ფინანსებს, ხოლო პროექტის მთავარი მიზანი არის ჯანმრთელი და კეთილმოწყობილი ქალაქის შექმნა, რომელიც თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება ყველათვის.

ქ.თბილისის მუციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დამსწრე წევრების სრული შემადგენლობა მხარს უჭერს ინიციატივას და მიესალმება ქალაქ თბილისის გაწევრიანებას ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის ჯანმრთელი ქალაქების ქსელში.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ

საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე